1.	მასწავლებელი	ნანი ტაბატაძე
2.	კლასი	VII კლასი
3.	გაკვეთილის თემა	წერტილთა კოორდინატები სიბრტყეზე
4.	მოსწავლეთა რაოდენობა	**14**
5.	გაკვეთილის მიზანი	• მოსწავლეები **დაასახელებენ** წერტილის კოორდინატებს და **მოძებნიან** წერტილებს მისი კოორდინატების მიხედვით • მოსწავლეები **შეისწავლიან** აბცისას და ორდინატას
6.	ესგ-ით მისაღწევი შედეგები და ინდიკატორები	**მათ. VII.12.** მოსწავლეს შეუძლია კოორდინატთა მეთოდის გამოყენება ორიენტირებისათვის. შედეგი თვალსაჩინოა , თუ მოსწავლე: • ორიენტირებს რუკაზე ან საკოორდინატო სიბრტყეზე კოორდინატების გამოყენებით (მაგალითად ასახელებს მოცემული წერტილის კოორდინატების მიახლოებით ან ზუსტ მნიშვნელობას; პოულობს მოცემული მთელრიცხოვანი კოორდინატების მიხედვით)
7.	წინარე ცოდნა	• მოსწავლემ უნდა იცოდეს რიცხვითი ღერძი • დადებითი და უარყოფითი რიცხვები • მართობული წრფეები
8.	მოსწავლეთა ორგანიზება	მთელი კლასი, წყვილები, ჯგუფები.

9.	გაკვეთილის აქტივობები ფაზების მიხედვით	**აქტივობა 1.** გაკვეთილის მიზნისა და შეფასების რუბრიკის გაცნობა **შედეგი:** მოსწავლეებს ეცოდინებათ გაკვეთილის მიზანი და შეფასების კრიტერიუმები (3 წთ) **აქტივობა 2.** წინარე ცოდნის გააქტიურება. **მიზანი:** საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის გახსენება. **აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს უმოწმებს საშინაო დავალებას, სადაც მათ უნდა შეესრულებინათ რიცხვით ღერძთან დაკავშირებული დავალებები; (განსხვავებულად შესრულებული დავალებები განიხილება დაფასთან),

		მასწავლებელი აფასებს მოსწავლეთა მზაობას სხვადასხვა შეკითხვებით, მაგ: ● რას ეწოდება რიცხვითი ღერძი ● რამდენი კოორდინატი აქვს წრფეზე ყოველ წერტილს ● სად მდებარეობენ რიცხვით ღერძზე დადებითი რიცხვები? უარყოფითი რიცხვები? ● სად შეგხვედრიათ ცხოვრებაში უარყოფითი რიცხვები? მოსწავლეთა მზაობის დასადგენად მასწავლებელი იყენებს განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთ საშუალებას; მოსწავლეები წყვილებად სტიკერებზე ხაზავენ რიცხვით წრფეს და აღნიშნავენ მასზე ორ დადებით და ორ უარყოფით რიცხვს და შემდეგ აკრავენ დაფაზე, მასწავლებელი თვალის გადავლებით აფასებს მოსწავლეთა მზაობას, საჭიროების შემთხვევაში იძლევა კონსტრუქციულ უკუკავშირს. **შედეგი:** გაიხსენებენ განვლილ მასალას. **აქტივობა 3 .** მოსწავლეები ასახელებენ ფიგურის კოორდინატებს, შემდეგი სლაიდით წერტილთა კოორდინატებს და მასწავლებლის დასახელებული კოორდინატებით წერტილს ასახელებენ. **აღწერა:**მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს საკოორდინატო სიბრტყეს და აღნიშნავს, რომ სიბრტყეზე ყოველ წერტილს ორი კოორდინატი გააჩნია: აბცისა და ორდინატა. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს პოვერ- პოინტში გაკეთებულ პრეზენტაციას და ბადეში არსებული ფიგურების კოორდინატებს ასახელებინებს მათ, შემდეგი სლაიდით კი გადადის საკოორდინატო სიბრტყეზე და მოსწავლეები ახლა უკვე წერტილთა კოორდინატებს ასახელებენ, შემდეგ ეტაპზე მასწავლებელი ასახელებს წერტილთა კოორდინატებს და მოსწავლეები კი-შესაბამის წერტილებს **შედეგი:** მოსწავლეები ასრულებენ დავალებებს. **აქტივობა:** სიღრმისეული წვდომა (ჯგუფებში მუშაობა) **მიზანი:** ახალი მასალის გააზრება მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ინდივიდუალურ დავალებებს, აკვირდება მათ მუშაობას და ამ დავალების შესრულების ხარისხით აფასებს მოსწავლეთა გაგება-გააზრებას. თუ გამოიკვეთა მოსწავლეთა ჯგუფი, ვინც კარგად ვერ ასრულებს

		ან ვერ გაიგო ახალი საკითხი, მასწავლებელი გადააჯგუფებს ერთად და მათთან ხელმეორედ იწყებს ახალი საკითხის განხილვას ან უკეთებს მათ სკაფოლდინგს და ასე ეხმარება მათ ახალი ცოდნის გაგებაში, ამასობაში სხვა მოსწავლეები აგებენ წერტილებს კოორდინატების მიხედვით , ან ასახელებენ კოორდინატებს წერტილების მიხედვით, გამორჩეულ მოსწავლეებს ეძლევათ მართკუთხედის ან კვადრატების კოორდინატები, მათ უნდა ააგონ ეს ფიგურები და იპოვონ მათი შესაბამისი კოორდინატები
10	შეფასება და თვითშეფასება	შეფასება ხდება ინდივიდუალური ბარათებით, ხოლო თვითშეფასება ხდება წერილობით: მოსწავლეები სტიკერებზე წერენ, რა გაიგეს და რა ვერ გაიგეს ახალ საკითხთან დაკავშირებით . შეფასების კრიტერიუმები იხილეთ დანართში

შფასება	კოორდინატების შესახებ	საკოორდინატო ღერძების ცოდნა	კავშირი სხვადასხვა სიტუაციებთან
ძლიან კარგი	მოსწავლე სწრაფად და უშეცდომოდ პოულობს და ასახელებს წერტილის კოორდინატებს სიბრტყეზე	მოსწავლე სწორად ასახელებს საკოორდინატო ღერძებს	მოსწავლე ახალ ცოდნას კარგად იყენებს სხვადასხვა კონტექსტში
კარგი	მოსწავლე მცირედი შეყოვნებით უშრცდომოდ პოულობს და ასახელებს წერტილის კოორდინატებს სიბრტყეზე	მოსწავლე სწორად ასახელებს საკოორდინატო ღერძებს	მოსწავლე თითქმის ყოველთვის იყენებს სხვადასხვა კონტექსტში
საშუალო	მოსწავლე შეყოვნებით ზოგჯერ პოულობს და ასახელებს წერტილის კოორდინატებს სიბრტყეზე	მოსწავლეს ერთმანეთში ერევა აბცისა და ორდინატა	მოსწავლე ახალ ცოდნას თითქმის ვერ იყენებს სხვადასხვა კონტექსტში
საშუალოზე დაბალი	მოსწავლე ხანდახან პოულობს და ასახელებს წერტილი კოორდინატებს სიბრტყეზე	მოსწავლეს ერთმანეთში ერევა აბცისა და ორდინატა	მოსწავლე ახალ ცოდნას საერთოდ ვერ იყენებს ახალ კონტექსტში